

(სსმ III, 24.10.2008 N 155 მუხ. 1528)

რეგისტრირებულია
საქართველოს
იუსტიციის სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
220.020.000.18.011.012.261

**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება N 281
2008 წლის 13 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**„კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის
მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 17
სექტემბრის N237 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების
შესახებ**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, 70-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 17 სექტემბრის N237 ბრძანება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“.

2. ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედების საჭიროება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი ბრძანებით რეგულირებული ურთიერთობები სსიპ „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს“ კომპეტენციის სფეროშია და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ მიიღო შესაბამისი მარეგულირებელი აქტი.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი

გ. ლლონტი